

რატა-ღეჩხუმი

და

ქვემო სვანეთი

---

# I. ზოგადი მიმოხილვა

## 1. ტერიტორიის ფართობი

რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის ტერიტორიის ფართობი 4,6 ათასი კმ<sup>2</sup>-ია, რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 6,6%-ს შეადგენს.



რეგიონს ესაზღვრება შიდა ქართლი, იმერეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი, ხოლო სახელმწიფო საზღვარი აქვს რუსეთის ფედერაციასთან.

## 2. თვითმმართველი ერთეულები

რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია: **ამბროლაურის, ლენტეხის, ონის და ცაგერის მუნიციპალიტეტები**. მხარეში 256 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 3 ქალაქი, 2 დაბა და 251 სოფელი. ადმინისტრაციული ცენტრია – ქ. ამბროლაური. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 280 კმ-ია.

# II. გუნებრივი შემადგენლობა და გარემო

## 1. მიწათმოქმედება-მეცხოველეობის რესურსი

რეგიონში მოიპოვება: რკინა, სპილენძი, თუთია და მათი თანმხლები მეტალები, მანგანუმი, მოლიბდენი, ტყვია, დარიშხანი, სტიბიუმი, ვერცხლისწყალი, ქვიშრობული ოქრო, მოსაპირკეთებელი ქვები-მაგმური ქანები, კირქვები, ცემენტი, თაბაშირი, მინა, მინერალური სასუქები და სხვა. რეგიონში ოქროს საბადოს სამი ძარღვია, ასევე დარიშხანის საბადო და ბარიტის საბადო.

## 2. წყლის რესურსი

რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი მდიდარია ბუნებრივი სამკურნალო წყლებით, სუფთა წყაროს წყლებით, მიწისქვეშა სასმელი მტკნარი წყლებით, სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლებით.

მხარის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: ხესხო, ლეკთარეში, ქვედრულა, ლეუშერი, კრიხულა, ლუხუნი, ლასკადურა, ნაზუთისწყერი, ჭანჭახი, ლაჯანური, ჯეჯორა და სხვა.

## 3. ენერგეტიკული რესურსი

ელექტროენერჯის – წყლის წარმოება და განაწილება (წარმოებული პროდუქციის 76%) მრეწველობის ძირითადი დარგია რეგიონში. აწარმოებს შპს „რიცეულაჰესი“ ამბროლაურში და სს „ლაჯანურჰესი“ ცაგერში. 2007 წლისათვის წარმოებული პროდუქციის ღირებულებამ სულ შეადგინა 9 885 ათასი ლარი. მოსახლეობას მომსახურებას უწევს და ელექტროენერჯიას აწვდის საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის შესაბამისი რეგიონალური ფილიალები.

## 4. სატყეო რესურსი

მხარის ტყის ფონდის ფართობი 275,8 ათასი ჰექტარია, აქედან ტყით დაფარულია 259,4 ათასი ჰექტარი ფართობი, რაც ქვეყნის და ტერიტორიული ერთეულის ტყიანობის 53,3%-ია.

ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა 46081 კუბური მეტრია, უკანონო ჭრა 8624 კუბური მეტრია, რაც მოჭრილი ხე-ტყის მოცულობის 19%-ია.

# III. ადამიანური, სოციალური და კულტურული კაპიტალი

## 1. მოსახლეობა

2009 წლის მონაცემებით რეგიონის მოსახლეობა 47,7 ათას ადამიანს შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 1,1%-ია.

2008 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა 1%-ით შემცირდა.

თვითმმართველი ერთეულების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობის ყველაზე მეტი ამბროლაურის და ცაგერის მუნიციპალიტეტებზე მოდის, ამბროლაურში – 14,7 ათასი კაცი, ცაგერში – 15,6 ათასი კაცი, რაც რეგიონის მთლიანი მოსახლეობის 32%-ია.

რეგიონში 2008 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა იყო 386 კაცი იყო, რაც საქართველოში სულ დაბადებულთა რაოდენობის 1% შეადგენს. ხოლო წინა წლის ანალოგიურ მონაცემებს აღემატება 23%-ით.

რაც შეეხება გარდაცვალებულთა რაოდენობას, 2008 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 633 კაცი.

## 2. ბანათლება

რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში ფუნქციონირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ცაგერის ფილიალი.

მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2008 წლიდან არ ფიქსირდება (7 მოსწავლე 2008 წელს).

მხარეში ფუნქციონირებს 37 სკოლამდელი, 30 დაწვებითი, 30 საბაზო 9-წლიანი, 41 სრული ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულება.

## 3. სოციალური უზრუნველყოფა

პენსიონერების რიცხოვნობა რეგიონში 2008 წელს იყო 14883 კაცი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4%-ით ნაკლებია, ხოლო მთლიანად საქართველოში პენსიონერთა რაოდენობის 1,8%-ია.

## 4. ჯანდაცვა

რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში არის 14 ჯანდაცვის ობიექტი (ამბულატორიების ჩათვლით) მათ მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ 1597 ათ. ლარი შეადგინა.

## 5. კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა

მხარეში 164-მდე ისტორიული და კულტურული ძეგლია, მათ შორის აღსანიშნავია ნიკორწმინდის ეკლესია (1010-1014 წწ.), სადაც შემონახულია XVII საუკუნის ფრესკები, ბარაკონის ტაძარი, ღვთისმშობლის ტაძარი აგებულია 1753 წელს, იგი ძველი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი მნიშვნელოვანი ძეგლია რაჭაში, ამბროლაურის რაიონში სოფ. წესთან, სოტევის ციხე, მინდა ციხე შუა საუკუნეების ციხესიმაგრეა, მრავალძალის ეკლესია XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია, კვარაცხე, ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა და ფილოსოფოსის წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავი და მონასტერი (VIIსაუკ.) და სხვა.

## IV. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

### 1. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

სატელეფონო მომსახურებას ახორციელებს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის“ 4 რეგიონალური ფილიალი, უნდა აღინიშნოს, რომ განახლებას საჭიროებს მათი სატელეფონო კომუნიკაციები. სატელეფონო მომსახურება ძირითადად ხორციელდება ფიჭური მობილური კავშირებით („მაგთი“, „ჯეოსელი“). ქ. ამბროლაურში არის მაგთისა და ჯეოსელის მომსახურების ცენტრები.

### 2. საბაზო ინფრასტრუქტურა


რეგიონში შიდა სახელმწიფოებრივი გზების სიგრძე შეადგენს 311 კმ-ს, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების – 850,5 კმ-ს. გზის მნიშვნელოვანი ნაწილი სარეაბილიტაციოა, მოსაწესრიგებელია მუნიციპალური მნიშვნელობის გზები, რომლებიც დაზიანდა მხარეში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად.

**V. ადგილობრივი ეკონომიკა**

**1. რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტები**

რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა რეგიონში 2009 წლის I კვარტალში 1809 ერთეული დაფიქსირდა, რაც საქართველოში სულ რეგისტრირებულთა 0,7%-ია. 2008 წელს კი რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობამ 1708 შეადგინა.

ეკონომიკური სუბიექტები რაოდენობა ზრდადი დინამიკით ხასიათდება, 2009 წლის I კვარტალში, წინა წელთან შედარებით 5,9%-იანი ზრდა დაფიქსირდა.




**2. დასაქმება**

დასაქმებულთა რაოდენობამ 2009 წლის II კვარტალში 1,588 კაცი შეადგინა, რაც საქართველოში დასაქმებულთა 5%-ია, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მონაცემებზე (2008 წლის II კვ.) 1,5%-ით ნაკლებია.

**3. ეკონომიკა**

რეგიონში შექმნილმა მთლიანმა დამატებული ღირებულებამ 2 970,3 მლნ ლარი შეადგინა (2008 წლის მონაცემი), რაც საქართველოს მასშტაბით შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 18%-ია.

რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი ვაჭრობის სექტორს უკავია, მთლიანი მოცულობის 18%, სახელმწიფო მმართველობას – 16%, სოფლის მეურნეობას – 13,3%, მრეწველობას – 12,5%, მომსახურებას – 11% და ა.შ.



აღსანიშნავია, რომ 2008 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი ზრდა სახელმწიფო მმართველობის სექტორში – 56% დაფიქსირდა, ჯანდაცვის სექტორში – 23%, მომსახურების სექტორში ასევე – 23%, ვაჭრობის სექტორში – 22% და ა.შ.

2008 წელი		რაჭა-ლეჩხუმი		საქართველო
		რაოდენობა	%	რაოდენობა
მრეწველობა	დასაქმება (კაცი)	433	0,5%	85 711
	ბრუნვა (მლნ. ლ)	9,7	0,2%	4 637,6
	გამოშვება (მლნ.ლ)	9,6	0,3%	3 821,8
სამეურნეო სფერო	დასაქმება (კაცი)	1 839	0,5%	349 250
	ბრუნვა (მლნ. ლ)	22,8	0,1%	19 650,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	19,9	0,2%	10 248,4
ტრანსპორტი და კავშირბაზ.	დასაქმება (კაცი)	103	0,2%	50 560
	ბრუნვა (მლნ. ლ)	0,3	0,0%	3 004,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	0,3	0,0%	2 043,6
მშენებლობა	დასაქმება (კაცი)	573	1,5%	38 109
	ბრუნვა (მლნ.ლ)	7,6	0,5%	1 412,0
	გამოშვება (მლნ.ლ)	7,6	0,5%	1 434,7
ვაჭრობა	დასაქმება (კაცი)	170	0,3%	55 278
	ბრუნვა (მლნ.ლ)	4,1	0,0%	9 238,0
	გამოშვება (მლნ.ლ)	0,7	0,0%	1 464,7

**4. სოფლის მეურნეობა**

სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა 2006 წლის მონაცემებით 63300 ათას ლარს შეადგენს.

სასოფლო მეურნეობების რაოდენობა 2008 წლის სტატისტიკური მონაცემებით 24 ათას ერთეულს შეადგენს.

2006 წელს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობა სულ 112259 ჰექტარს შეადგენდა.

- სახნავი – 8555;
- საძოვარი – 75302;
- სათიბი – 25230;
- მრავალწლიანი ნარგავები – 3172;

მათ შორის:

- ვენახი – 1674;
- ბაღი – 1498.

2007 წლის 1 იანვრისათვის პრივატიზებულია სასოფლო-სამეურნეო მიწების 203.3 ჰექტარი.

მათ შორის:

- ამბროლაურში – 176.8 ჰა;
- ცაგერში – 26.54 ჰა.

### 5. სამშენებლო სექტორი

2007 წელს რეგიონში ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე გაიჭრა 8 ნებართვა. საპროექტო ობიექტების მოცულობა იყო – 8660.7 კუბ.მ. აქედან საპროექტო ობიექტების საერთო ფართობი იყო 2409.8 კვ.კ.

რაც შეეხება, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებზე გაცემული ნებართვების რაოდენობას, რეგიონში 2007 წელს გაიჭრა 16 ნებართვა, საპროექტო ობიექტების საერთო ფართობი – 2757.95 კვ.მ.

2008 წლის I-III კვ. რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე არცერთი ნებართვა იქნა გაცემული, ხოლო 2007 წელს გაიჭრა – 25 ნებართვა და ობიექტის საერთო საპროექტო ფართი იყო – 192 კვ.მ.

### 6. საწარმოები

2009 წლის მონაცემებით რეგიონში მოქმედ საწარმოთა რაოდენობამ 388 ერთეული შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოში მოქმედ საწარმოთა რაოდენობის 1 პროცენტია.

მათ შორის:

- მსხვილი საწარმოა – 4;
- საშუალო საწარმო – 30;
- მცირე საწარმო – 354.

მსხვილი საწარმო:


- შპს „ამბროლაურის ავტოგზა 10“ – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა.

## 7. საწინასწო სექტორი

მხარეში შემავალ ოთხივე მუნიციპალიტეტში საბანკო ოპერაციებს ასრულებს მხოლოდ სს „სახალხო ბანკის“ შესაბამისი რეგიონალური ფილიალები.

## 8. პრივატიზაცია

2008 წელს რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის რეგიონში პრივატიზებულ იქნა 182 ობიექტი, რაც წინა წელთან შედარებით 22.1%-ით მეტია, ხოლო მთლიანი პრივატიზებული ობიექტების 28.8%-ს შეადგენს.



## VI. ტურიზმი

### 1. კურორტები და პოტენციური საკურორტო ადგილები

რეგიონი მდიდარია უნიკალური მინერალური და სამკურნალო წყლებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ონის მუნიციპალიტეტში მდებარე შოვისა და უწერის (მინერალური წყლები) კურორტები, რომელთა პრივატიზაცია მოხდა 2006 წელს ყაზახური კომპანიების მიერ. ასეთივე მნიშვნელოვანი კურორტია ლენტეხშიც.

არსებულ კურორტ „მუაში“, ცაგერის მუნიციპალიტეტში, ფუნქციონირებს ბალნეო-კლიმატური კურორტი „ლაშიჭალა“, რომლის ნახშირმუავა-ჰიდროკარბონატული, მაგნიუმ-კალციუმიანი მინერალური წყალი გამოიყენება საჭმლის მომნელებელი ორგანოების, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისა და პერიფერიული ნევრული სისტემით დაავადებულთა სამკურნალოდ.

ასეთივე საკურორტო მეურნეობები შეიძლება განვითარდეს ალპანაში, ახალგადაში, ადვში, უსახელოში, ლაბკვერისა და ძულურში.

ბუნებრივ კლიმატური პირობები საუკეთესო საშუალებას ქმნის, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე შაორის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიზე განვითარდეს სამთოსათხილამურო, სათევზაო, სანადირო, საცხენოსნო, სანაოსნო, სათაგადასავლო, სამლოცველო აგროტურიზმი და ეკოტურიზმი. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები წყალსაცავის სარეაკრეაციო ზონის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაღვენად.

## 2. თეატრები, მუზეუმები და ბიბლიოთეკები

მხარეში 2008 წელს ფუნქციონირებდა 5 მუზეუმი, რაც მთლიანად საქართველოში მოქმედი მუზეუმების 4%-ია.

მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხვი 2008 წელს იყო 12,8 ათასი ადამიანი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 25%-ით მეტია.


2008 წელს რეგიონში განხორციელდა 192 ექსკურსია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 163%-ით მეტია. ჩატარდა 33 გამოფენა.

2008 წელს რეგიონში ფუნქციონირებდა 86 ბიბლიოთეკა, რაც მთლიანად საქართველოში არსებული ბიბლიოთეკების 10%-ია.


## 2. ქონების გადასახადი

2008 წელს რეგიონში ქონების გადასახადიდან შემოსულმა თანხამ 459,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ქონების გადასახადიდან შემოსული თანხის 0,3%-ია.

ქონების გადასახადი მუნიციპალიტეტების მიხედვით (ათასი ლარი)




მათ შორის აღსანიშნავია, რომ ქონების გადასახადში ყველაზე მაღალი წილი საწარმოთა მიერ ქონების გადასახადს უკავია 352,2 ათასი ლარი, რაც მთლიანი გადასახადის 76,9%-ია.



## VII. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები

### 1. საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლები

2008 წელს რეგიონში საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 910,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლების 0,2%-ია.




### 3. ადგილობრივი მოსაკრებლები

2008 წელს რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში ადგილობრივი მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ 24,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მოსაკრებლებიდან მიღებული შემოსავლის თითქმის 0,04%-ია.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსაკრებლის 74,1% მხოლოდ ონის მუნიციპალიტეტზე მოდის, სულ – 18,0 ათასი ლარი, ცვაკერის მუნიციპალიტეტზე – 3,3 ათასი ლარი (13,7%), ხოლო ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე 3,0 ათასი ლარი (12,2%).

#### 4. ფინანსური დახმარებები

ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსურმა დახმარებებმა ტრანსფერის სახით 9 551,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით გაცემული ტრანსფერების მხოლოდ 1,9%-ია.



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ტრანსფერების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

	გამოთან	მიზნობ	სპეციალ	სულ:
	ათასი ლარი			
ამბროლაური	957,0	162,0	2723,9	3842,9
ლენტეხი	812,0	57,0	877,0	1746
ონი	710,0	78,0	636,0	1424
ცაგერი	1 107,0	153,0	1278,6	2538,60
<b>სულ:</b>	<b>3586</b>	<b>45000.0</b>	<b>5,515.5</b>	<b>9551.5</b>